უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმატებული საქმეები
2024 წლის ნოემბერი-დეკემბერი - 2025 წლის იანვარი

უზენაესმა სასამართლომ თბილისის მერიას თბილისის ზღვაზე „სიკვდილის ზონის“ დახურვა და მორალური ზიანის ანაზღაურება დააკისრა

2024 წლის 20 ნოემბერს უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა ადამიანის უფლებათა ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის, ალეკო ცქიტიშვილის საკასაციო საჩივარი და ქალაქ თბილისის მერიას თბილისის ზღვის ე.წ. ჩანჩქერის ტერიტორიაზე ბარიერებისა და გამაფრთხილებელი ბანერების დამონტაჟების ვალდებულება დააკისრა. მერიას, ასევე, დაეკისრა მორალური ზიანისთვის კომპენსაციის სახით 25 000 ლარის გადახდა.

ალეკო ცქიტიშვილი ადმინისტრაციული სარჩელით 2017 წლიდან მოითხოვდა სასამართლოსგან, განესაზღვრა ქალაქ თბილისის მერიის პასუხისმგებლობა თბილისის ზღვის ტერიტორიაზე, სადაც 2017 წელს მისი შვილი დაიხრჩო. ადამიანის უფლებათა ცენტრის დახმარებით, ცქიტიშვილმა ქალაქ თბილისის მერიისა და წყლის გამანაწილებელი კომპანიის - GWP-ს წინააღმდეგ ადმინისტრაციული სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში 2017 წლის ბოლოს შეიტანა. თბილისის ზღვაზე, ე. წ. ჩანჩქერის ტერიტორიაზე არსებული საფრთხეებიდან გამომდინარე, ალეკო ცქიტიშვილი ქალაქ თბილისის მერიისგან მოითხოვდა ისეთი აუცილებელი პრევენციული ზომების გატარებას, როგორიცაა ბანაობის ამკრძალავი და გამაფრთხილებელი ბანერების განთავსება, ასევე - კაპიტალური ბარიერების მოწყობა. თითქმის ორწლიანი განხილვის შემდეგ, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნათია ბუსკაძის გადაწყვეტილებით, ქალაქ თბილისის მერიას ე.წ. ჩანჩქერის ტერიტორიაზე დაევალა გამაფრთხილებელი ბანერების დამონტაჟება, ასევე - ჩანჩქერის არხის ზოლზე 2.5 მეტრის სიმაღლის კედლის მოწყობა. სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაზარალებული ოჯახის მოთხოვნა - მერიას დაკისრებოდა მორალური ზიანის ანაზღაურება 50 000 ლარის ოდენობით. ამიტომ სასამართლოს გადაწყვეტილების ეს ნაწილი თბილისის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდა. თავის მხრივ, **სააპელაციო სასამართლოს ქალაქ თბილისის მერიამაც მიმართა და უარი განაცხადა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებაზე იმ მოტივით, რომ იგი არ არის ქალაქში მსგავსი უბედური შემთხვევების პრევენციაზე პასუხისმგებელი.**

თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაჭიანურებულ სასამართლო პროცესზე ერთ-ერთი მოპასუხე მხარის - GWP-ს წარმომადგენელმა განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მერიის „თხოვნით“, ჩანჩქერთან არსებული სახიფათო ტერიტორია მათ უკვე შემოღობეს, დაამონტაჟეს გამაფრთხილებელი ბანერები და ვიდეოკამერები. მოსარჩელის მოთხოვნით, GWP-მ სასამართლოს შესაბამისი მასალებიც წარუდგინა, რითაც გაირკვა, რომ თბილისის მერიამ ნამდვილად მიმართა მსგავსი წერილით GWP-ს და ამის შემდეგ ფაქტობრივად, GWP-მ შეასრულა ის სამუშაოები, რაც თბილისის საქალაქო სასამართლომ მერიას დაავალა. **ასეთი ხრიკით თბილისის მერიამ თავიდან აირიდა პასუხისმგებლობა და არ შეასრულა სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელსაც პრეცედენტული ძალა ჰქონდა და ფაქტობრივად ეხებოდა სამომავლოდ დაზარალებულთა მსგავს დავებს თბილისის მერიის წინააღმდეგ.**

2022 წლის 27ოქტომბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ, მოსამართლე ლეილა მამულაშვილის თავმჯდომარეობით, არ დააკმაყოფილა ადამიანის უფლებათა ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის, ალეკო ცქიტიშვილის ადმინისტრაციული სარჩელი, რითაც იგი ქალაქ თბილისის მერიისგან და წყლის გამანაწილებელი კომპანია GWP-სგან მორალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა. ამავე დროს, სასამართლომ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილშიც გააუქმა, რითაც დაკმაყოფილებული იყო მოსარჩელის მოთხოვნა, სახიფათო ადგილზე მყარი ბარიერების და გამაფრთხილებელი ბანერების მოწყობის თაობაზე. სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული პალატის განმარტებით, ვინაიდან ადგილზე GWP-მ შემოსაზღვრა ტერიტორია და ბანერებიც განათავსა, აღარ არსებობს დავის საგანი მოპასუხე მერიის მიმართ. რაც შეეხება მოპასუხეებისთვის მორალური ზიანის დაკისრების საკითხს, სასამართლოს განმარტებით, არ არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი უსაფრთხოების ნორმების დაუცველობასა და დამდგარ შედეგს შორის.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, 2022 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ სრულიად დაუსაბუთებელი არგუმენტებით გააუქმა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. შესაბამისად, ორგანიზაციამ მოამზადა საკასაციო საჩივარი, რომლითაც ალეკო ცქიტიშვილმა საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიმართა და მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება. საკასაციო საჩივარში აღნიშნული იყო რომ სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული პალატის გადაწყვეტილება იყო სრულიად დაუსაბუთებელი და სამარცხვინო. ამ გადაწყვეტილების იურიდიულ ძალაში შესვლა გამოიწვევდა წყლის ობიექტებზე არაერთ უკუშედეგს ადამიანის სიცოცხლისა და უსაფრთხოების დაცვის კუთხით.

2024 წლის 20 ნოემბერს უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა საკასაციო საჩივარი, შემდეგი მოსამართლეების შემადგენლობით: თავმჯდომარე - თამარ ოქროპირიძე,

მოსამართლეები - ქეთევან ცინცაძე და გენადი მაკარიძე. სასამართლომ ქალაქ თბილისის მერიას დაავალა ქმედების განხორციელება - ბარიერების და ბანერების მოწყობა ე. წ. ჩანჩქერთან და დააკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება - 25 000 ლარის ოდენობით.
უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება არის პრეცედენტული, რაც Cნიშნავს, რომ სამომავლოდ მსგავსი საქმეების განხილვისას საერთო სასამართლოები საქართველოში სწორედ ამ გადაწყვეტილებით იხელმძღვანელებენ.

სასამართლომ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალს უკანონოდ გათავისუფლებული თანამშრომლის სამსახურში აღდგენა დაავალა

2024 წლის 21 ნოემბერს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა თ.დ.-ს საკასაციო საჩივარი და დაავალა სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალს უკანონოდ გათავისუფლებული თ.დ.-ს აღდგენა გათავისუფლებამდე დაკავებულ პოზიციაზე. თ.დ-ს სამართლებრივ ინტერესებს უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტი იცავდა.
თ.დ. 2022 წლის 1 იანვრიდან გათავისუფლდა სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტლიდან. თ.დ. მიიჩნევდა, რომ მისი გათავისუფლება იყო დისკრიმინაციული და გათავისუფლება დაკავშირებული იყო მისი მეუღლის პოლიტიკურ შეხედულებებთან. შესაბამისად, საკუთარი უფლებების დასაცავად მიმართა სასამართლოს, მოითხოვა გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება. თავდაპირველად ჰოსპიტლის დირექტორმა განაცხადა, რომ გათავისუფლება დაკავშირებული იყო ხელშეკრულების ვადის გასვლასთან, მაგრამ სასამართლოში წარმოდგენილ შესაგებელში ჰოსპიტლის წარმომადგენლები უთითებდნენ, რომ თ.დ.-ს გათავისუფლება დაკავშირებული იყო ჰოსპიტალში განხორციელებულ რეორგანიზაციასთან. პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოებმა თ.დ.-ს სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილეს, მიიჩნიეს რომ თ.დ. გათავისუფლდა უკანონოდ და დაავალეს ჰოსპიტალს მისთვის განაცდურის ანაზღაურება, ასევე აღდგენის შეუძლებლობის გამო კომპენსაციის გადახდა. თ.დ.-მ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, სადაც მოითხოვდა, შეცვლილიყო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დაევალებინა სასამართლოს ჰოსპიტლისათვის სამსახურში აღდგენა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით დევნილი და მისი სამი არასრულწლოვანი შვილი დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლითდაკმაყოფილდებიან

2024 წლის 18 დეკემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დევნილი თ.გ.-ს მიმართ. ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც სრულად დაკმაყოფილდა თ.გ.-ს ადმინისტრაციული სარჩელი: ბათილად იქნა ცნობილი სააგენტოს დირექტორის ბრძანება და ამავე სააგენტოს დაევალა ახალი ბრძანების გამოცემა, რომლითაც დევნილი თ.გ. და მისი სამი არასრულწლოვანი შვილი დაკმაყოფილდებიან დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით. თ.გ.-ს ინტერესებს სასამართლოში უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავდა.

სასამართლომ არასრულწლოვან ბავშვთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა მამის სასარგებლოდ ნაწილობრივ დააკმაყოფილა

გურჯაანის რაიონულ სასამართლოში მოსარჩელე ლ.შ, რომელიც 2022 წლიდან საზღვარგარეთ იმყოფება, ყოფილი მეუღლის მიმართ სარჩელით ითხოვდა არასრულწლოვან შვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრას - კონკრეტული დღეების მასთან გატარებას, შეუზღუდავ ურთიერთობას სოციალური ქსელის საშუალებით შვილთან და სადღესასწაულო დღეების მამის ოჯახში გატარებას.
უფლებდამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრის კახეთის ოფისს დახმარებისთვის მიმართა არასრულწოვანის დედამ. 2024 წლის 24 დეკემბერს სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ლ. შ-ს სარჩელი და მას განესაზღვრა თვეში ერთი პარასკევი და შაბათი ბავშვის წასაყვანად საქართველოში დაბრუნების მომენტიდან. დედისთვის მისაღები აღმოჩნდა სასამართლოს გადაწყვეტილება და მის გასაჩივრებაზე უარი განაცხადა.

ქალის ძალის გამოყენებით გამტაცებლებს და მასზე სექსუალურად მოძალადე ბრალდებულ პირს პატიმრობა შეეფარდათ

საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში მცხოვრები ქალი, ცოლად შერთვის მიზნით მისი ნების საწინააღმდეგოდ მოიტაცეს. ერთ-ერთმა პირმა მასთან ძალის გამოყენებით დაამყარა სექსუალური ხასიათის კავშირი. შემთხვევა 2024 წლის ივლისში მოხდა.

ძალადობის მსხვერპლმა ქალმა სამართლებრივი დახმარებისთვის უფლებადამცველთა გაერთიანება ადამიანის უფლებათა ცენტრს მიმართა და მოძალადეებს სასამართლოში უჩივლა.
2025 წლის იანვრის თვეში სასამართლოში საქმის განხილვა დასრულდა. სამივე ბრალდებულს, დაზარალებულთან შეთანხმებით, საპროცესო შეთანხმება გაუფორმდა - სექსუალურად მოძალადეს 3 წელი და 6 თვე, გატაცებაში მონაწილეებს კი 2 წელი და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ.

მშობლებს შორის არასრულწლოვან შვილებთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა მორიგებით დასრულდა

უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრს სამართლებრივი დახმარებისთვის მიმართა არასრულწლოვნების დედამ, რომელსაც ყოფილმა მეუღლემ არასრულწოვან შვილებთან ურთიერთობის წესის განსაზღვრის მოთხოვნით სასამართლოში უჩივლა.
დედას გაეწია სამართლებრივი დახმარება, შედგენილ იქნა შეგებებული სარჩელი მამისთვის ალიმენტის დაკისრებაზე.
საქმე დასრულდა მორიგებით, მამას მიეცა უფლება თავისი შვილები ექვსი თვის განმავლობაში ყოველი თვის მეორე შაბათ-კვირას ნახოს სოფლის ტერიტორიაზე, ხოლო ექვსი თვის შემდეგ წაიყვანოს თავის სახლში. მან ასევე თითოეულ ბავშვზე უნდა გადაიხადოს 150 ლარი ალიმენტი.

არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა მშობლებს შორის მორიგებით დასრულდა

2010 წელს დაბადებულ არასრულწლოვანს, რომელიც მამასთან ცხოვრობდა, სურდა დედასთან საცხოვრებლად გადასვლა, მაგრამ მშობლებს შორის შეთანხმება ვერ შედგა და მამამ სასამართლოს მიმართა. მან არასრულწლოვნის საცხოვრებლად მისი ადგილის განსაზღვრა მოითხოვა. უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრს სამართლებრივი დახმარებისთვის არასრულწლოვნის დედამ მიმართა. 20 დეკემბერს გაფორმდა მორიგება მხარეებს შორის, რომლის თანახმად, არასრულწლოვანი ყოველ შაბათს და კვირას გაატარებს დედის საცხოვრებელ სახლში მისი სურვილის გათვალისწინებით, ასევე ზამთრის და ზაფხულის არდადეგების პირველ ნახევარს გაატარებს დედასთან.

განაჩენის გადასინჯვის შედეგად პირისთვის წარდგენილი ბრალდება არ დადგინდა და საქართველოს გენერალურ პროკურატურას დაევალა პირისთვის უკანონო მსჯავრდადების საფუძველზე 5 000 ლარის ოდენობით ზიანის თანხის ანაზღაურება

უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტი იცავდა პირს, რომელსაც საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2006 წლის 5 დეკემბერს გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენით მსჯავრად დაედო სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის I ნაწილით, 178-ე მუხლის I, II ნაწილის "ა" III ნაწილის "ა" და "დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისთვის, სასჯელის ზომად განისაზღვრა პირობითი თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით. 2021 წლის 7 აპრილს მოხდა აღნიშნული განაჩენის გადასინჯვა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული ახალი განაჩენით დადგინდა, რომ *გ.ბ.* არის *უდანაშულო* მისთვის 2006 წლის წარდგენილი ბრალდებების მიმართ. თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულიად დააკმაყოფილა ადვოკატის მოთხოვნა და საქართველოს გენერალურ პროკურატურას პირის სასარგებლოდ დაავალა უკანონო მსჯავრდადების საფუძველზე 5 000 ლარის ოდენობით ზიანის თანხის ანაზღაურება.